სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

25 ივლისი, 2025 წელი

წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება N07-01/22

,,ბსუ-ს ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 24 დეკემბრის N07-01/59 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18, 23-ე, 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-10, მე-15 და 72-ე მუხლების, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 16 ივლისის N876581 სამსახურებრივი ბარათის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 25 ივლისის სხდომის N07-02/06 ოქმის საფუძველზე ბსუ-ს წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ,,ბსუ-ს ბიუჯეტის შედგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 24 დეკემბრის N07-01/59 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ,,ბსუ-ს ბიუჯეტის შედგენის წესში“ (დანართი 1) შევიდეს ცვლილებები, კერძოდ:

ა) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ ანგარიშს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს, კვარტლის დასრულებიდან 30 დღის ვადაში.“.

ბ) შეიცვალოს წინამდებარე წესის N2 დანართი (,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმა“) **და ჩამოყალიბდეს ახალი, წინამდებარე გადაწყვეტილებაზე თანდართული რედაქციით.**

2. წინამდებარე გადაწყვეტილებით შეტანილი **ცვლილებები ამოქმედდეს:**
   2.1. წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტში შეტანილი ცვლილება - ამ გადაწყვეტილების მიღების თარიღიდან;

2.2. წესის **N2 დანართი** (,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამული ბიუჯეტის ფორმა“) - **2026 წლიდან**.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება და კოდიფიცირებული ,,ბსუ-ს ბიუჯეტის შედგენის წესი“ გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე, ველში ,,იურიდიული ცნობარი“ (ველებში: წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებები“, ,,საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“).
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, სტრუქტურულ ერთეულებს.
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **ჯ. კარალიძე**

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 24 დეკემბრის №07-01/59
გადაწყვეტილების **N2 დანართი**

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროგრამული ბიუჯეტის ფორმა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **პროგრამული ბიუჯეტი**					
პროგრამის განაცხადის ფორმა					
პროგრამის დასახელება:					
პროგრამის განმახორციელებელი:					
პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:					
დასახელება	სულ	წელი	წელი	წელი	წელი
ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები					
აჭარის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება					
სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება					
გრანტები					
სულ ბიუჯეტი:					
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	წლები:				
პროგრამის მიზანი:					
პროგრამის აღწერა:					
პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა					
საანგარიშო წელი					
<u>პროგრამის</u> დასახელება	სულ	მათ შორის დაფინანსების წყაროს მიხედვით			
		საკუთარი შემოსავლები	აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	გრანტები
სულ პროგრამა					
საბოლოო მოსალოდნელი შედეგი:					

პროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები				გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (სტრუქტურული ერთეული)	მოგროვების მეთოდი
	წელი	წელი	წელი	წელი				

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

ქვეპროგრამის დასახელება:

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	წელი
ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	
აჭარის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	
სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	
გრანტები	
სულ ბიუჯეტი:	

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის აღწერა:

ხარჯის/ღონისძიების დასახელება	თანხა დაფინანსების წყაროს მიხედვით				
	საკუთარი შემოსავლები	აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტი	სახელმწიფო ბიუჯეტი	გრანტები	სულ (ლარი)
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი					

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

ხარჯის/ღონისძიების დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (სტრუქტურული ერთეული)	მოგროვების მეთოდი